საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი ... ბიბლიოთეკა
78

№ 42
თებერვლის 22, შაბათი 1903 წ.
1877

ივერია

1903
№ 42
თებერვლის 22, შაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ, 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ხვალ, 23 თებერვალს, 12 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი

კნ. მარიამ იაკობის ასულის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ შვილები განსვენებულისა: **თავ. მაკარი რომანის ძე ჭავჭავაძე, კნ. ანასტასია რომანის ასული მაყაშვილისა, კნ. სოფიო რომანის ასული თარხან-მოურავისა და შვილი-შვილის იოსებ პაატას ძე მგალობლიშვილი.**

ისყიდება სურამში

იუნკერთა სასწავლებლის საზაფხულო სამყოფის გვერდით

საუკეთესო სააგარაკო ადგილები

შემკული კარგის ჰავითა, ტყითა და წყაროებით. სასეირნოდ დატოვებულია მოზრდილი ადგილი ტყისა. სივრცე თითოეულის აგარაკისა 133—478 ჩორსო საჟენი. უმთავრესი ქუჩა ათ საჟენიანია. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია. იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში 10—3 საათამდე (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (25—3)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მასი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—88)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჰელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა , . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ალაგობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად

ფარს იაკ. ავსარქისოვის მამულში.

ადრესი: უბრალო წერილებისათვის—„სკრა“, კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშ:რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი, 22 თებერვალი

ფრიად საყურადღებო ამბავი გვამცნო „ივერიამ“ გაზეთის № მე 38-ში: „ცნობილს გრაფ. უვაროვისას უთხოვნია საქართველოს ექსარხოსის ალექსისთვის, მარტვილის ტაძრის ძველი სამკაულები გამოგზავნეთო მოსკოვს, აქაურს მუზეუმში შესანახად, რადგან აქ უფრო კარგად იქნება დაცულიო. უვაროვის თხოვნა საქართველოს ექსარხოსს უცნობებია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრესათვის და მისი აზრი მოუთხოვნია ამ საგნის შესახებო. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მოუწერია: „1,500-მდე მანათი გადავდე მარტვილის სამკაულთათვის მტკიცე თავსაფარის ასაგებად და დასაცავად და აქედგან წმინდა ნივთების წაღება ყოვლად შეუძლებლად მიმაჩნიაო და სარწმუნოების მხრივ უხერხულადო“... ამ ამბავს კომენტარიები აღარ სჭირდება. ალბად, პატივცემულს გრაფინიას უნახავს, ან სარწმუნო წყაროებიდგან შეუტყვია, რომ მარტვილში დაცულ სამკაულ-სიწმინდეთა საფრთხე მოელით, რადგან შესაფერად ვერ ინახებიან და იმიტომ თხოულობს, „გამოგზავნეთ მოსკოვს, აქაურს მუზეუმში შესანახად, რადგან აქ უფრო კარგად იქნება დაცულიო.“ ალბად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეც გრძნობს, რომ მარტვილის ძველ სამკაულებისთვის უფრო „მტკიცე თავსაფარია“ საჭირო და იმიტომ გადაუდვია კიდეც მის ასაგებად 1,500 მანეთამდე. კარგი, რომ ამ ჟამად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე განაგებს გურია-სამეგრელოს ეპარქიას და იმედია, ყოველს ღონეს იღონებს მარტვილის სა წმინდეთა ღირსეულად თავისს ადგილზედვე დასაცვავად, ხოლო ამისთანა დიდ საქმეში მარტო ერთი კაცის ძალა არა კმარა, თუნდ ეს კაცი თვით მხნე ქველმომქმედი ეპ. ალექსანდრე იყოს! მერე, ნუ თუ მარტვილის დიდებულს ტაძარს სხვა პატრონი აღარავინა ჰყავს, რომ მხარში ამოუდგეს მხცოვანს მღვდელ-მთავარს და იზრუნოს მისთვის და იქ დაცულ სიწმინდეთათვის? მარტვილის ტაძარი ხომ იგივეა კერძოდ სამეგრელოსათვის და საზოგადოდ მთელის საქართველოსათვის, რაც სიონის, მცხეთის, გელათის, ალავერდის და სხ. ტაძრები. მაშ, როგორ მოხდა, რომ ამდენს ხანს ყურადღება არავის მიუქცევია ამ ტაძრისათვის და საქმე იქამდის მისულა, რომ გვეუბნებიან, ძვირფასი სამკაულები ამ ტაძარში ცუდად ინახებიან და ამიტომ ჩვენ გამოგვიგზავნეთ და შევინახავთო? სამართლიანად შენიშნავს „ივერია“, როცა ამ ამბავს აქვეყნებს: „ჩვენს წინაპრებს ეკკლესიები და საეკკლესიო სამკაულები თავიანთ სულიერ მოთხოვნილებისთვის შეუქმნიათ და ჩვენთვის, შთამომავლობისათვის, გადმოუციათ და არა მუზეუმებში შესანახად შორეულ ქალაქებში-ო“. დიახ, და ჩვენც მოვალენი ვართ, თუ შექმნა ახლისა აღარაფრის შეგვიძლიან, ის მაინც დავიცვათ, რაც წინაპრებს გადამოუციათ და უკლისად გადავსცეთ შთამომავლობას! ამისთვის-კი საჭიროა, როგორც მარტვილის ტაძართან, აგრეთვე სხვა დიდებულ ტაძრებთანაც, როგორც მაგალითად გელათის ტაძარია, სადაც-კი მრავლად მოიპოვება ძვირფასი სამკაულები და წიგნები, აგებულ იქმნან შესაფერი სიწმინდეთ-საცავნი, რომ აღარავის შეეძლოს შემდეგში ამისთანა წინადადებით მოგვმართოს. კერძოდ მარტვილი ამ მხრივ უკეთესს მდგომარეობაშია, ვინემ სხვა ჩვენი წმინდა ადგილები, რადგან იგი წარმოადგენს, სხვათა შორის, საგვარეულო სამარხ ოდიშის მთავრების და სხვა დადიანებისას, სადაც, ამ რამდენიმე დღის წინად, დაკრძალულ იქმნა კიდევაც უკანასკნელი მთავარი სამეგრელოსი, უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზი. ამიტომ სრული იმედი გვაქვს, შვილი ამისი, რომლის შესახებაც იმდენი კარგი მოვისმინეთ, არ დასტოვებს უყურადღებოდ მარტვილს და ეცდება, კიდევ უფრო განამტკიცოს მისი მნიშნელობა ქვეყნის თვალში, განამშვენიეროს და განადიდოს. ტყუილად-კი არ უპასუხნია ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ექსარხოსისთვის, „აქედგან წმინდა ნივთების წაღება შეუძლებლად მიმაჩნია და სარწმუნოების მხრივ უხერხულადო“... არა, იმედია, ეს ამბავი საკეთილოდ დაბოლოვდება და რუსები რომ იტყვიან „нѣтъ худа безъ добра“-ო, იმისი არ იყოს, ამ ცუდს ის სიკეთე მოჰყვება, რომ, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს მეცადინეობით და ახალგაზდა უგანათლებულეს თავად ნიკოლოოზის და სხვა მამულის შვილთა დახმარებით, თვით მარტვილის ტაძართანვე იქნება აგებული შესაფერი მუზეუმი იქ შეგროვილ სიწმინდეთა შესანახ-დასაცავად, რაც პატივცემულ მთავრის შვილის მოღვაწეობის ჩვენში ღირსეული დასაწყისი იქნებოდა.

დუტუ მეგრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

◆ კვირას, 23 თებერვალს, თავ. გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, დანიშნულია კომისიის წევრთა კრება, რომელსაც დავალეული აქვს შეიმუშაოს პროგრამმა, თუ როგორ უნდა იუქმონ და რითი უნდა აღნიშნონ ყოველ-დღიური ბეჭდვითი სიტყვის 200 წლის არსებობის დღე.

◆ დღეს ტფილისის ოლქის სასამართლოს [illegible] დანიშნულია კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ აღძრული კითხვა, რა საშუალებებით შეიძლება შემცირდეს ადგილ მამულების დაჩემება.

◆ დღეს ქალაქის სადგურში დანიშნულია ქალაქის მამულების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს მელანია ფურცელაძისა და ქალაქის გამგეობის შორის აღძრული სადავო საქმე.

◆ რადგანაც ქალაქის გამგეობას განუზრახავს, რომ ამ ახლო მომავალში უნდა გახსნას კიდევ რამდენიმე ხორცის დუქანი და ამ დუქნების თვალ-ყურის დევნა არ ძალუძს ერთს პირს, ამიტომ გამგეობას განუზრახავს დუქნების გამგეს დაუნიშნოს თანაშემწე.

◆ ტფილისის გამგეობას ქალაქის ინჟინერის თანამდებობის ამსრულებლად მოუწვევია ინჟინერი კოგნოვიცკი.

◆ 23 თებერვალს დანიშნულია ქალაქის საქმეთა მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს გამგეობის 1901 წლის ანგარიში.

◆ დღეს, 22-ს თებერვალს, საღამოს რვა საათზედ დანიშნულია კრება იურიდიული საზოგადოებისა.

კრება განაგრძნობს განხილვას წინა სხდომაზედ დაწყებულ საგნის შესახებ სამეურნეო საზოგადოების მიერ აღნიშნულ ღონის ძიებათა, ავაზაკობასა და ცარცვა გლეჯის წინააღმდეგ საბრძოლველად და ბ ნ არწრუნის მოხსენებას საოჯახო ახალ კანონების თაობაზედ. ამ კრებაზედ არა წევრებთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

◆ ამას წინად ჩვენ შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ თ. თომა ციციშვილი სიონის ტაძარში თავის ხარჯით კისრულობს გააკეთოს აივანი. თ. ციციშვილი აივანს აკეთებს მგალობელთათვის და, ამას გარდა, მან სურვილი გამოაცხადა გააკეთოს ერთს სვეტიანი ნიში იმ სახითვე, როგორც სიონის კანკელსა აქვს და კიდევ განაახლოს ძეგლი კავკასიის პირველის მთავარ-მართებლის თავ. პავლე დიმიტრის ძის ციციშვილისა.

◆ როგორც შევიტყეთ, თ. თომა ციციშვილსავე ფიქრად აქვს ააშენოს თავის სამშობლოს სოფელ ხცისში შენობა სამრევლო საეკლესიო სკოლისა, ცალკე სავაჟო და ცალკე საქალებო. სავაჟო სკოლის მზრუნველად თვითონ იქმნება, ხოლო საქალებოსი—მისი მეუღლე.

◆ რადგანაც გუშინდელ დღეს დანიშნული სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება არ შესდგა, ამიტომ კრება გადაიდო მომავალ სამშაბათისათვის.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ქალაქის გამგეობა, მრავალ აღთქმათა შორის, იმასაც გვპირდება, რომ გამართავს ფურთხისა და ნახველის გამოსაკვლევ-ბაქტერიოლოგიურ სადგურსაო; მაგრამ, რადგანაც, როგორც თვით გამგეობა აღიარებს, ქალაქს არც შენობა და არც საკმარისი ფული მოეპოვება იარაღების შესაძენათ, ამიტომ ქალაქის უმთავრესმა ექიმმა ბ-ნმა სტეფანოვმა ამ საქმეს ამ მხრით მოუარა; სანამ საკუთარს სადგურს ავაგებდეთ, ფურთხისა და ნახველის გამოკვლევა მივანდოთ სამხედრო გამომკვლევარ ლაბორატორიას და სხვა კერძო ლაბორატორიებსაო და მათ გასამრჯელოთ გავიღოთ ის სამოცი თუმანი, რაც ქალაქს აქვს ამ საქმისთვის გადაწყვეტილიო; ქალაქის გამგეობაც, რასაკვირველია, დასთანხმდა ექიმ სტეფანოვის წინადადებაზედ.

◆ მაისში ჩამოვა ტფილისში მოსკოვის თეატრის დრამატიული დასი არტისტის, პრავდინის თაოსნობით. სხვა არტისტთა შორის უმთავრეს როლების აღსასრულებლათ ჩამოვა ბ-ნი იუჟინი (თავ. სუმბათაშვილი), დასის წარმოდგენები გაიმართება არტისტიულ თეატრში.

◆ კომისარჟევსკის ქალის გასტროლები სათავად-აზნაურო თეატრში; როგორც წარმოდგენებით, ისე შემოსავლითაც ღირს-შესანიშნავი იყო. ცამეტი წარმოდგენიდამ შემოვიდა 15,617 მან. და 40 კ. ე. ი. თითო წარმოდგენაზე შემოსავალი იყო 1201 მან. 27 კ.

◆ ორშაბათს, 24 თებერვლიდგან არტისტიულ თეატრში დაიწყება საოპერო დასის წარმოდგენები.

◆ რადგანაც ამ ბოლოს დროს კავკასიის მევენახეთა შორის ძალიან გავრცელდა ვაზის წამლობა და, შესაძლებია, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ბევრმა მათგანმა მიმართოს ვაზის საწამლავ მასალისათვის, ამიტომ საზოგადოების გამგეობას სამხლვარ გარეთიდგან ბლომად გამოუწერია გოგირდი და სხვა წამლის სასხურებელი იარაღები.

◆ როგორც მკითხველებს ვაუწყებდით, თავ. ზ. ერისთავმა სოფ. კასპში დაუთმო თავისი მამული ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგეობას, სადაც ამა სკოლის მოსწავლეებმა უნდა განაგრძონ პრაქტიკული მუშაობა ზაფხულობით; ამ დღეებში ერთი ჯგუფი საბაღოსნო სკოლის შეგირდებისა, სკოლის უფროსის მეთაურობით, კიდეც გაემგზავრება სოფ. კასპში სამუშაოთ.

◆ ამას წინად ტფილისის ვაჭართა საზოგადოებამ დაადგინა თავის საზოგადო კრებაზედ, იდღესასწაულოს ვაჭართა მამასახლისად ნამყოფის ე. ა. დავიდოვის სამსახურის 20 წლის თავი. ტფილისის გუბერნატორმა ეს გადაწყვეტილება ამ ჟამად დაამტკიცა და კიდეც აცნობა ვაჭართა საზოგადოებას.

◆ 24 თებერვალს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში გაიმართება სალიტერატურო-ვოკალური საღამო ნაძალადევის უფასო სასწავლებლის სასარგებლოდ.

◆ გუშინ-წინ კრება ჰქონდა ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს, რომელმაც შეიმუშავა პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ და რა დროს უნდა იარონ ავადმყოფებმა ქალაქის საავადმყოფოებში.

◆ კვირას, 23 თებერვალს განჯაში გაიმართება ქართული საღამო საკონცერტო განყოფილებით. მთელი შემოსავალი გადაიდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. ტფილისიდგან მიწვეულნი არიან მონაწილეობის მისაღებად ქნ ი გაბუნია-ცაგარლისა და ვ. აბაშიძე, აგრეთვე ქართულ მომღერალთა გუნდი ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ქალაქის დუქნებში ცხვრის ხორცი გირვანქა 11 კაპიკად გაჰყიდოს. მოხსენება ამის შესახებ საბჭოს წარედგინება მოკლე ხანში.

◆ 24 თებერვალს დანიშნულია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც, სხვათა შორის, მოისმენს ა. ი. სააკოვის მოხსენებას „О введеніи земскихъ учрежденій на Кавказѣ".

ისტორიული ცნობა.

10

ღალატი.

თამარ მეფემ ჩააბარა ლაშა-გიორგის ვრცელი სახელმწიფო—მთელი კავკასია დარუბანდიდგან ტრაპიზუნტამდე, არეზიდგან—თერგამდე. ლაშაც ჰპატრონობდა შეძლებისამებრ. გამარჯვებულის საქართველოს დროშა ფრიალებდა კავკასიონს და შამის ზარს სცემდა მეზობელს სამთავროებს...

—

აღმოსავლეთს, ყარაყურუმს გამოჩნდა ამ დროს საკვირველი ერი, საკვირველის სახით, წესით, ქცევით, შეხედულობით. ჰქონდათ უცხო სახე, უცხო ცხოვრება. პურის გემო არა იცოდიან, ხორცითა და პირუტყვთა რძით იზრდებოდიან. ხოლო იყვნენ ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ, თვალითა მცირედ ჭვრიტ და გრძან, განზიდულ და საზინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლ ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელ ღაწვნი უმაღლეს იყვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტვნი ჩნდიან ცხვირთა. ესე ვითარი აქვნდათ უმსგავსო სახე, გარნა იყვნენ მოისარნი რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერა რამან საჭურველმან დაუდგის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მხნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის. ესე იყვნენ კაცნი გასაკვირველნი: იხილი-რა, სულელ საცოხებელ იყვნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე აპყრობდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირე მეტყველება და მართლის თქმა ზნე იყო მათი. ამათ ერქვათ მანღულ (მონგოლი), ხოლო ქართულად თათარი.

—

ამ მანღულებმა დაიპყრეს თითქმის მთელი აღმოსავლეთი აზია და მერე ერთი მათი დასი წამოვიდა დასავლეთისაკენ. ამ დიდმა დას-რაზმმა გამოვლო თურანი, ჯაიხი, ხვარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოაწიეს განძას, ბერდუჯის (დებედას) ხეობის სიმაგრეს სცემს (1222 წ.). ქართველები შეებრძოლნენ, გარნა იძლივნენ: თათრებს ორად გაეყოთ ლაშქარი და ერთი ნაწილი რომ ქართველებს ებრძოდა, მეორე ნაწილმა საიდუმლო გზით მოუარა და უკანიდგან დაჰკრა. „დავითიანი დროშა" აღმაშენებლის აქეთ პირველად დამარცხდა. ქართველნი ტფილისს შემოიქცნენ. თათარნი სამშვილდემდე მოჰყვნენ და ყურაყურუმსვე დაბრუნდნენ.

—

თათართა ყაენმა უძლიერესი ლაშქარი გამოგზავნა კვლავ. თათრები შემოებრძოლნენ ხარასნის სულთანს ჯელალ-ედ-დინს და დაამარცხეს. 140,000 კაცით ეს სულთანი საქართველოსკენ გამოიქცა (1225 წ.).

—

ტფილისი ჯერ ისევ ბრწყინავდა. მისი დიდებული სასახლენი და პალატნი ატკობდნენ ქართველის გულს, სულს. აქ ჯერ ისევ იყო თამარ მეფის

ტახტ-საჯდომელნი,
მკამკამებელნი,
სარდიონისა
ხურუზმს შემკულნი.
მტილ-სამოთხენი,
თვალთ სა(ს)მოთხენი,
ზედ ავაზანთა
შექმნულობანი.
კართა სტოვანი,
ერთა სტოლანი,
იპპოდრომისა
განხმელობანი
და ამ პალატში აგერ ისევ
ოქრო-ვერცხლებრივ
ჰბრწყინავს ცეცხლებრივ
კედელ-ყურენი
ფიქლის ძეწნილნი,
ბივრილიონით,
ლიკვსილიონით
ურთიერთობით
შორით შთათხზილნი;
რიყე თვალისა,
წინ ნათლისა,
წყალნი მგზებარობს
შიგან აღითა.
სჩანს მარგალიტი,
არ თუ ალიტი,
ოდენ ბურთისა
საბურთალითა...
ისმის მგოსანთა,
ვით საფირონთა,
ხმანი ებნისა
და წინწილისა.

—

ნახეთ, რა დაემართა ამ ბრწყინვალებას. მოვიდა ჯელალ-ედდინ. რუსუდანი ქუთაისს გაიქცა. ტფილისში დასტოვა ძმნა და ბოცო ბოცოს ძენი სულთანი შემოებრძოლა მამაც მეციხოვნეთ. გაუჭირდა ციხის აღება. გარნა შინა გამცემელი გამოჩნდა. სულთანს გაუღეს ქალაქის კარები. ტფილისი აიღო...

—

ვინ შემძლებელ არს მოთხრობად, რავდენნი მოსაწყვარნი იქმნეს! რამეთუ ესოდენ მძვინვარედ ხოცდეს, რომელ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან და რომელსამე თვალნი წარსცვივდიან და რომელსამე ტვინი დაითხიის, და მერმე დედათ მოჰკვლიდიან, ბერნი უწყალოდ ფოლორცთა (მოედნებს) შინა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდიან. სისხლისა მდინარენი დიოდეს, თავი ტანისაგან მოშორებული და თმა ნაწევართა შიგან აღრეულნი და კაც-დედაკაცი მტვერსა შიგან ცხენისა ტერფითა (ჩლიქით) იზილებოდის. ზოგს ასობდნენ დანას იღლიაში, ზოგს მკერდში, მუცელში.. ჯიჯ სალმობიერო დაღადი! მოიწია ტირილი, ტკივილი, ზახილი და უზენაარო ვაება. საზარელთა ხმათაგან იძროდა ქალაქი ყოველი. შვილს მამის წინაშე ჰკვლიდენ, ძმას ძმის წინაშე აკაფავდნენ, სრესავდნენ, ამუსრავდნენ, ათხრებდნენ, ანგრევდნენ. გაიჟლიტა ათ-ბევრამდე (100,000) სული...

—

სულთანს ჩამოგდო სიონის გუმბათი, ზედ დაედგა ტახტი, ამ ტახტზედ დამჯდარიყო და სტკბებოდა კაცთა ჟლეტით, ჩჩვილთა ღეწით.

ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, კაცი კაცისთვის მგელიაო. მაგრამ...განა ჯელალ-ედ-დინი კაცი იყო? მხოლოდ მგელ-კაცს და აფთარს შებრალება არა აქვს...

—

გულის ჭია რომ მოიკლა მხეცმა სულთანმა, ადარბადაგონს წავიდა. გარნა ამით არ დასრულდა ქართველთ ვაება თათარნი მოაწვნენ ჯელალ ედდინს. მან საქართველოსკენვე პირი იბრუნა. მოვიდა მანგლისს. ქართველნი ფიცხლად შეებრძოლნენ, მაგრამ ისევ დამარცხდნენ. ჯელალი კვლავ ტფილისს შემოვიდა და აქედგან სამცხისკენ წავიდა. ქართველებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, გარნა ეს ამოსუნთქვა წამის უგრძესიც არ იყო.

—

თათრებს დიდი ჯავრი სჭირდათ ჯელალ-ედდინისა და მას გამოეკიდნენ საქართველოს გზით. ქართველი დიდკაცობა, სპასპეტნი და სპასალარნი მიიმალნენ. რუსუდანმა მოიწვია ვიღაც მუხაძე და უბრძანა: ვიდრე თათრები ტფილისში შემოვლენ, გადასწვი მთელი ქალაქი, რომ აქ არ მოიკალათონო. დედოფალი ქუთაისს წავიდა. მუხაძემ გადასწვა ქალაქის შენობები, აგრეთვე თამარის სასახლენი და პალატნიც...

—

ვინ უღალატა საქართველოს ამ გაჭირების დროს?

ჯელალ-ედ-დინი რომ საქართველოს საზღვარზე, გარნისს, გამოჩნდა, დედოფალმა დროშა სვიან—დავითნი ჩააბარა ამირ-სპასალარს ივანე მხარგრძელს და უბრძანა მამაცურად დახვედროდა ხვარაზმელს სულთანს.

წაუძღვა 90,000 მეომარს ამირსპასალარი ივანე, მრავლად დაჯილდოებული თამარ-მეფისაგან წინამბრძოლად აჩინა თორელნი და ძმანი შალვა და ივანე ახალციხელნი. მტერს რომ მიუახლოვდნენ, წინამებრძოლნი ლომებივით ეცნენ მტერს, გამეტებულად დაიწყეს ბრძოლა, მტრის ღეწა. იმედი ჰქონდათ, სადაა, ამირასპასალარი უდიდესის ლაშქრით მოვა და მტერს სრულიად გავანიავებთო. იბრძოდეს კარგა ხანს და მაჩქარებელი გამოუგზავნეს ამირსპასალარს, რომელიც შორი ახლო დაბანაკებულიყო. შეატყობინეს გაჭირება. ამირსპასალარი არ დაიძრა. შეატყობინეს მეორეთ. არ დაიძრა. მესამედ. ძრა არა ქმნა...

ბევრი იბრძოდეს თორელ-ახალციხელებმა, გარნა დამარცხდნენ. ამირსპასალარი-კი უყურებდა, როგორ თავდადებულად იხოცებოდნენ მეომარი ქართველები.

ივანე ახალციხელი რომ მოკლეს და შალვაც შეიპყრეს, ამირსპასალარი აიყარა, ლაშქარს თავი ანება და თავის მამულს ბიჯნისს მიაშურა...

ამას მოჰყვა ჯელალ-ედ-დინისა და თათართაგან ჯერ ტფილისისა და მერე საქართველოს აკლება, თამარ-ნეტარის სამეფოს დანგრევა.

ხელი რომ გაენძრია ათაბაგ-ამირ სპასალარს ივანე მხარგრძელს და მამულისთვის არ ეღალატნა, ეგების საქართველოს სვებედს სხვა გზით ევლო...

ჯერ ისევ რუსთაველის წინადაც შენიშნული იყო, რომ საქართველოს დიდ გვარეულობებში თითო იუდას სისხლი მოსჩქეფავდა.

ბერი.

ფელეტონი

ჩვენის საზოგადო მოღვაწეობის ნიმუშები.

(იმის გამო, თუ რას მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები 20,000 მან.)

(შემდეგი *)

წარმოვიდგინოთ შეუძლებელი შესაძლებლად *), ვსთქვათ, გაკვეთილები გამოულევლად იშოვება. სტუდენტი პედაგოგი არ არის; მიუწყებული აქვს საგანი. უნდა შეიძინოს სახელმძღვანელო წიგნები, გაიხსენოს ნასწავლი. სვინიდისი ავალებს მიუზღოს თავისს მოწაფეს სამაგიერო იმ ფულისა, რომელსაც მის მშობლებისაგან მიიღებს. უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის არსება-ხასიათი და თითოეულ გაკვეთილზედ დაფიქრდეს, თუ როგორ მიაწოდოს საჭირო ცოდნა. თითონ მოსწავლე, რომლისათვისაც ცალკე მასწავლებელია საჭირო, უეჭველად დაქვეითებული უნდა იყოს იმის გამო, რომ ან ნიჭით არის ნაკლებ დაჯილდოებული, ან ხასიათი ვერ აქვს სასურველი; რამდენი დრო უნდა მოანდომოს, რამდენი სისხლი უნდა გაიფუჭოს სტუდენტმა ამ გვარად გაკვეთილების მიცემით. ჭეშმარიტად, უნდა გვიკვირდეს, სული როგორ შერჩათ, ვისაც ამ გზაზედ უვლია, რატომ ყველანი არ დაიხოცნენ!?

ჩვენ არა გვაქვს სტატისტიკურნი ცნობანი, რამდენი მსხვერპლი შესწირა ჩვენმა საზოგადოებამ ამ უბედურებას, მაგრამ ეჭვი არ არის, დიდია ეს მსხვერპლი. ნახევარ საუკუნის განმავლობაში 500—600 კაცი უნდა იყოს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებული. განა ყველამ მიიღო ის ბედნიერება, რომელსაც მაღალ განათლებას ვეძახით? ბევრმა მათგანმა სული დალია მის ძებნაში, ბევრი მათგანი დასახიჩრდა.

ჩვენს საზოგადოებაში სუფევს ცრუ რწმენა: სიღარიბე შეჰქმნის ცოდნასაო. ეს იმდენადვე მართალია, რამდენადაც მართალია მისი პროტოტიპი: შიში შეიქმს სიყვარულსაო. როგორც შიში შეიქმს მონებას და არა სიყვარულს, იმ გვარადვე სიღარიბე შეჰქმნის უმეცრებას და არა ცოდნასა. შეცდომის მიზეზი ის არის, რომ ხანდახან ღარიბი კაცი შეიძენს იმდენს ცოდნას, განათლებას, მიაღწევს ისეთ მაღალ ხარისხს გონების განვითარებისას, ტყავად და ძვლებად გარდაქცეული გამოიჩენს იმდენს ენერგიას, რომ მის წინაშე ფასდებიან მდიდარი განათლებულნი და თვით მისი ფიზიკური სისუსტე რაღაც მომხიბლველ სხივით იმოსება, როგორც ვითომდა მიზეზი მისის სულიერის ძლიერებისა.

დრო იყო, როდესაც ქალი, თუ ფერ-მიხდილი არ იყო, ლამაზად არ მიაჩნდათ. რძე და ღვინოს ფერად აღყვავებული მშვენიერება სიწმინდეთა მტაცებელის ხელით სპობდა თვისს ლოყებზედ საუკეთესო ღვთის ნიჭის—ჯან-მრთელობის ნიშანსა. დამახინჯებული გემო თხოულობდა ამას. გზა და კვალ დაბნეულ გონებას სიღარიბე და მისგან წარმოშობილი სნეულება მიაჩნია ცოდნა-განათლების მიზეზად და წყაროდ.

ჩვენ აქ გვავიწყდება ერთი გარემოება: ზემოხსენებულისთანა კაცს შევსცქერით და ვკვირობთ, იმას-კი აღარ ვკითხულობთ, რა იქნებოდა ეს კაცი, რომ მისი ჯანმრთელობა სიღარიბეს არ შეემუსრა.

ვის არ ახსოვს უდროოდ დაკარგული ჩვენი მოღვაწე ბესარიონ ღოღობერიძე? იგი იყო აღზრდილი „ასწავლე და ისწავლე"-ს თეორიაზედ. უხვად დასაჩუქრებული ბუნებისაგან, ბესარიონი იყო შემკული მრავალგვარ ცოდნით და მაღალის განათლებით; იყო სავსე საუკეთესო მისწრაფებაებით; მაგრამ აკლდა ჯანმრთელობა, აღარ ჰქონდა სხეული. პირველ შეხლასათანავე ცხოვრების ტალღებთან სუსტი სხეული დაიმტვრა. კაცი დაიღუპა და სამშობლომ უდროოდ დაჰკარგა ერთი საუკეთესო შვილი.

როდესაც პეტერბურგში სწავლობდნენ ბ-ნნი ივანე თარხნიშვილი და ნიკოლოზ ნიკოლაძე, იქვე სწავლობდა ქუთაისში გიმნაზია გათავებული ბეჟან ხამაშურიძე. ნიჭით ეს ბეჟან არც ერთს მათგანს უკან არ ჩამოუდგებოდა, იქნება მათზე უფრო ნიჭიერიც იყო. ყველამ ვიცით, რა კაცები გამოვიდნენ პირველნი ორნი და იმ შეძლების წყალობით, რომელიც ჰქონდათ. ორნივე დღესაც კარგად ბრძანდებიან და მოღვაწეობენ. ხამაშურიძე-კი სტუდენტობაშივე იმსხვერპლა სიღარიბემ.

ბევრს გვინახავს და კიდეც გვახსოვს ქუთაისში ნიჭიერი ყმაწვილი, რომელიც საღსრის მოსაპოებლად პირველ კლასიდგანვე გაკვეთილებს აძლევდა. გიმნაზია გაათავა, ორი წელიწადი კიდევ იმუშავა, ფული მოაგროვა, გამოიკერა უბეში და გაემგზავრა იქითკენ, საითკენაც მიისწრაფის ყოველი გიმნაზია-გათავებული ჭაბუკი; მაგრამ ვერც-კი მიაღწია აღთქმის ქვეყანას.—გზაში დალია სული.

თითონ მე შავმა ბედმა მომამწყვდია ამ წამებულით სიაში. გამოცდილებით ვიცი გაკვეთილების მიცემის სიმწარე. ჯერ სტუდენტობაშივე გავხდი ავად. არ ვიყავი მთლად მორჩენილი, ხელ-მოკლეობამ ისევ საშრომად მიმიწოდა. რვა წელიწადი ვიშრომე, მაგრამ მეორე რვა წელიწადი საექიმოდ დამჭირდა. მოვრჩი და ისევ მუშაობა დავიწყე, ვიმუშავე ათი წელიწადი და დღეს ისევ ექიმის კარზედ ვდგევარ დაეჭვებული, ვაი თუ ამ გზობით ჩემმა კოკამ წყალი აღარ მოიტანოსმეთქი.

კაცისათვის თანასწორ საჭიროა, როგორც სწავლა-განათლება, ისე ჯანმრთელობა. განათლება ოხერია იქ, სადაც ჯანმრთელობა არ არის. ეს საჭიროება ძველ დროშიც ესმოდათ და მშვენიერად არის გამოხატული კლასიკურ თქმულებით: mens sana in corpore sano. ბევრი შეცოდება მიუძღვის კაცობრიობას ამ კანონის წინაშე. დღეს მთელი განათლებული ქვეყანა გონებას მოვიდა და სცდილობს თვისი შეცდომა გაასწოროს; მხოლოდ ჩვენ ვადგევართ დაჟინებით ძველ გზას და, ჩვენის ფეხმოკლე სიბრძნით აღჭურვილნი, თავს ვინუგეშებთ, სიღარიბე შექმნის ცოდნასაო.

ამბობენ, სასწავლებელი დავაარსოთ და ღარიბებს შემთხვევა მივსცეთ თავისი ნიჭი გამოიჩინონო. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ნიჭი ვერავის ვერ გამოვაჩენინეთ, მტერს-კი შემთხვევა მივეცით ეთქვა, ქართველები უნიჭონი არიანო. ეს ხომ უტყუარი ჭეშმარიტება იყო, ცილობა ჰქონდათ მხოლოდ მიზეზის შესახებ. ერთი ამბობდა, ქართველები დაბალის რასისა არიანო, მეორე ამ მიზეზს ჩვენებურ აკვანსა სდებდა, მესამე იმას აწერდა, რომ ქართველები სუპს არა ვხმაროთო. ნამდვილად-კი, ჩვენს სწავლა-განათლებას ორი უძლეველი მტერი ჰყავს: სიღარიბე და დარღვევა პედაგოგიის ძირითადთა მოთხოვნილებათა. მაგრამ ვინ განგიკითხა?! გაიმარჯვებ—გადიდებენ, დამარცხდები და ვაი დამარცხებულს. ეს ზნე სჭირს უსამართლო წუთი-სოფელს.

შარშან სეკდემბრის საგანგებო კრება ნამდვილად საგანგებო იყო იქ წარმოთქმულ გამაშტერებელ აზრებით. რა არ ითქვა ამ კრებაზედ კომისიის პროექტის დასამხობად! „ერთს მაღალს განათლებას ვაძლევთ და მეორეს წერა-კითხვის საშუალებაც არა აქვსო, წერა-კითხვა პირველი საჭიროება არის ყოველის ერისათვისაო, მისი კულტურა-განათლება გაიზომება წერა-კითხვის მცოდნეთა სიმრავლით და არა მეცნიერებით ამაღლებულ ცალკე კაცებითაო; სადაც წერა-კითხვა არ არის გავრცელებული, იქ არც მეცნიერება არისო, ჯერ წერა-კითხვა უნდა გავრცელდეს და იგი შეჰქმნის მაღალ-განათლებას, მეცნიერებასაო; უნივერსიტეტი მოგვცემს ჩვენ ასე თუ ისე ნასწავლს, დიპლომიანს და არა მეცნიერსაო,

---

*) იხ. „ივერია № 41.

*) ქუთაისის სათავად-აზნაურო კრება უმაღლესად ნაბოძები 20,000 მ. მოხმარების თაობაზედ ვასილი წერეთლისა „ივერია 1902 წ. № 205.

ჩვენებური ამბები

როხი. (ქუთაისის მაზრა). 16 თებერვალს, ამ სოფელში შემდეგი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა:

კორბაძეს 12 წლის და კაცაძეს 16 წლის ვაჟიშვილები საქონლის მოსარეკად გაუგზავნიათ მინდორში. საუბედუროდ, შუა გზაზედ ჩხუბი მოსვლიათ, კორბაძეს თურმე დანა ჰკიდებია წელზე; კაცაძეს შეუნიშნავს თუ არა დანა, სისწრაფით ამოუცლია ქარქაშიდან და კიდევაც რამოდენიმე ჭრილობა დაუჩნევია მუცელში, კორბაძე იმ წამსვე გარდაცვლილა. გამხეცებულ მკვლელს სიკვდილი რადის უკმარებია, აუღია საწყლის გვამი და იქვე მდ. კორის—წყალში გადუსროლია, თვითონ-კი წასულა შინ. როცა საქმე გამომჟღავნებულა, მაშინ-კი გამოტეხილა და თავის თავგადასავალი დაწვრილებით უამბია ყველასთვის. ამის შესახებ გამოძიება წარმოებს.

ჩვენსკენ მშვენიერი ამინდი დგას. აგერ სამი დღეა აღმოსავლეთის ქარი ჰქრის.

დროებით ვარციხელი.

—

თიანეთი. თიანეთში ამ ჟამად შვიდი ღვინის დუქანია და ორი-კი ფარჩისა. ყველას კარგად მოეხსენება, სომხების ვაჭრობა რა ნიადაგზედ არის დაყენებული. იმის მაგიერ, რომ ამ მოუსავლიან წელიწადს რამდენიმე სასმლის დუქანი მოესპოთ, საუბედუროდ, ერთიც მოუმატეს. მოაქვთ უვარგისი წყალ-ნარევი ღვინო და თუნგს 1 მ. 20 კაპ. ჰყიდიან.

აქაური მოვაჭრე სირაჯები, საზოგადოდ, როგორც ყველა მოვაჭრენი, კარგად დახელოვნებულები არიან ვაჭრობაში. რომ მეტი მუშტარი მიიზიდონ—უფრო იაფადაც ჰყიდიან ღვინოს. კვირა-უქმე დღეს ღვინის დუქნებში შედიან გლეხები და გულსაკლავად, ბუხრის წინ, ღვინისაგან გაჟენთილები და ჭკუა დაკარგულები გაიძახიან სიმღერას: „დაგძინებია, ხინკალო, გამოგაღვიძებს ჯაბანი“-ო. იმას-კი არა ფიქრობენ, რომ იმათ ცოლ-შვილს სახლში პური ენატრულება

მოვაჭრენი, თუ ამ 15—16 წლის წინად კევითა და ბურნუთით ვაჭრობდნენ, დღეს, თიანეთის მეორე გილდის მოვაჭრეებად უწოდებენ თავიანთ თავს.

თუ წინად გლეხებისაგან დაქირავებულ დუქნებში ვაჭრობდნენ, ეხლა ჩამოართვეს. დუქნის პატრონებს თავიანთებურად ელაქუცებოდნენ, აძლევდნენ ნისიად, რაც დასჭირდებოდათ; შეაქუჩეს ერთად ნისიები, ნისიის სარგებლები და, იმედია, სხვა დუქნებსაც მალე შეისყიდიან და თიანეთში თელაველი მოვაჭრე სომხები სამუდამოდ გადმოვლენ საცხოვრებლად.

აქაურ ვაჭრებს არ გააჩნიათ არც კვირა, არც რაიმე დღესასწაული. თუმცა, თიანეთის ბოქაულის მოადგილემ ა. გ—შვილმა შეადგინა ოქმი და გადასცა მომრიგებელ მოსამართლეს, რომელმაც დამნაშავედ იცნო ყველა მოვაჭრენი, დააჯარიმა 15 მანეთით, ანუ სამი დღით ციხეში დაპატიმრებით. მაგრამ, ჩვენი მაქრო კაკულიჩი და მასივე გრიგორიჩი მაინც თავიანთსას არ იშლიან: უქმე დღეებშიაც ისე ვაჭრობენ, როგორც სადა დღეს. ამიტომ საჭიროა, ბ-ნ ა. გ—შვილმა ამ გარემოებას მეტი ყურადღება მიაქციოს, რომ კვირა-უქმე დღეს მიკიტნის და სხვა დუქნები მხოლოდ წირვის შემდეგ იღებოდეს.

ამ ცოტა ხანში ღოთობამ სამ ახალგაზრდა კაცს მოუსპო სიცოცხლე.

დათიკო გოგიაშვილი.

რუსეთი

„ხარბინის ლისტოკის“ მეშვიდე ნომერი ცენზორმა აღკრძალა იმის გამო, რომ ამ ნომერში მოთავსებული იყო ფელეტონი ვ. დოროშევიჩისა „გოსპოდინ გოვორიატ“-ით სათაურით. ეს წერილი გადმობეჭდილი იყო „ბუდილნიკ“-იდგან. „ხარბინის ლისტოკ“-ს ნაჩვენები ჰქონდა კიდეც, საიდგან იყო გადმობეჭდილი ეს წერილი, მაგრამ ახირებულმა ცენზორმა არ მისცა ნება ამ ნომრის გასყიდვისა და განაცხადა, ვ. დოროშევიჩის წერილის გადმობეჭდვის ნება ავტორისაგან უნდა აგეღოთო. ამის პასუხად რედაქტორმა უჩვენა „დალნი ვოსტოკ“-ის ნომრები, სადაც გადმობეჭდილი იყო წერილი „რუსსკია ვედომოსტი“-დგან, მაგრამ ცენზორმა უპასუხა, „დალნი ვოსტოკ“-ს ალბად ნება ექნება აღებული წერილების გადმობეჭდვისაო.

ამრიგად, მეორე დღეს „ხარბინის ლისტოკ“-ის ნომერი აღარ გამოსულაო.

— აგერ სამი წელიწადი სრულდება, რაც თვისი არსებობა შესწყვიტა გაზეთმა „ბაიკალ“-მა, რომელიც კიახტაში გამოდიოდა. 26 იანვრიდგან ეს გაზეთი კიდევ გამოდის ხელახლად: პირველ ნომერში გაზეთი ჰპირდება მკითხველებს, მოკლე ხანში, ვეცდებით, გაგაცნოთ ის გაჭირვება და დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება გაზეთის გამოცემასაო.

—

(წერილი ვლადივოსტოკიდგან).

ძლივს ეღირსა აღმოსავლეთ ციმბირის ქართველობას დიდი ხნის ძილისგან გამოღვიძება და თვალების მოფშვნეტა. მათ მიაწოდა მ. ვლ. იმერლიშვილმა ერთი საუკეთესო და სანეტარო აზრი, რომლის განხორციელებასაც დიდის ხალისით შეუდგნენ. ოც-და-სამს იანვარს თავი მოიყარა ქ. ვლადივოსტოკში მცხოვრებ ქართველობამ მ. ვ. იმერლიშვილის სახლში, რომელმაც, ოთხი-ხუთი დღის წინ, კრების დღე დანიშნა და მოსაწვევი ბარათები გაუგზავნა კრების დაწყებისას, ხმას უმეტესობით, თავმჯდომარედ ამოირჩიეს მ. ვ. იმერლიშვილი, რომელმაც წარუდგინა გეგმა დასაარსებლად „აღმოსავლეთ ციმბირის და მანჯურიის ქართველთა დამხმარებელი საზოგადოებისა“. ქართველობა დიდის სიამოვნებით მიეგება ამ აზრს და თანხმობა გამოაცხადა შემწეობის აღმოსაჩენად.

უმთავრეს საგნად ამ საზოგადოებას ექმნება დაეხმაროს გონებრივად და ქონებრივად აქაურს ქართველობას, ერთს განუყრელს დასად შეჰკრას იგინი და ძმურად დააკავშიროს. შეეწიოს ციმბირის ღარიბ ქართველ სტუდენტობას, გამოსცეს ქართულს ენაზედ სხვა-და-სხვა წიგნები, დააარსოს ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და თავ-შესაფარები კუნძულიდგან ახლად განთავისუფლებულ ქართველებისთვის და სხვა.

კრებამ ამოირჩია თავის შორის სამი კაცი: მ. ვლ. იმერლიშვილი, ა. დონაჩაშვილი და ს. ნიჟარაძე, რომელთაც დაევალათ წესდების ვრცლად შემუშავება. მასვე დაევალათ, შეატყობინონ ციმბირის ყველა ქართველებს და ამაზედ მოწოდება გაუგზავნონ. წესდება უნდა შემუშავდეს სხვა ადგილებშიც და შემდეგ ყველა ერთად განიხილება. იმედია, სხვა ქართველებიც დიდის სიამოვნებით მიეგებებიან ამ აზრს და მ. იმერლიშვილის მეცადინეობას მხარს დაუჭერენ.

დიდის მადლობის ღირსნი არიან მ. ვლ. იმერლიშვილი და ბ-ნი ა. ი დონაჩაშვილი, რადგანაც პირველმა ითავა ეს დიდი საქმე, რომლისათვისაც საკმარისად მხნეობა და ძალა შესწევს და მეორემ-კი იკისრა პირველ ხნის ყველა წვრილმანი ხარჯები საზოგადოების დაარსებამდე; იგივე შეჰპირდა კრებას რამდენისამე ასი მანეთის შეწირვას, თუ საქმე რიგიანად მოეწყო.

თუ როგორი შედეგი ექნება ამ კრებას, შემდეგში განვუზიარებთ ქართველ საზოგადოებას.

დასასრულს კრება სთხოვს ქართულ ჟურნალ-გაზეთობას ამ საგანზე თავიანთი აზრი გამოსთქვან და, თუ შეიძლება, საჭირო წესდება მოაწოდონ სახელმძღვანელოდ შემდეგის ადრესით. г. Владивостокъ. Діакону каөедральной соборной церкви о. Владимиру Имерлишвили.

24 იანვარი
ქ. ვლადივას.
ვ. ლიაძე, სტუდ. ვლადივას. აღმოსავლეთ ენების ინსტიტუტისა.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. გაზ. „N. Fr. Pr.“-ი და ბოჰემიელ გერმანელთა ორგანი „Bohemia“ დიდს წინააღმდეგობას აცხადებენ,—ყოვლად შეუძლებელია კაბინეტში ჩეხთა მინისტრ-წარმომადგენლად ახალგაზრდა-ჩეხთა მეთაური კრამარჟი დაინიშნოსო.

პირველი გაზეთი ამბობს,—გერმანელებმა კიდეც რომ დაივიწყონ კრამარჟის ამ უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში გერმანელთა საწინააღმდეგოდ ნამოქმედარი: ცირკულიარი ჩეხურ ენის უფლებათა შესახებ, კლარის სამინისტროს დამხობა, ჩეხთა ობსტრუქცია,—იმას მაინც არაოდეს არ აპატიებენ, რომ ბადენის დროს, როცა იგი პალატის ბიუროში მონაწილეობას იღებდა, ყოველის ღონის-ძიებით სცდილობდა, უბრალო ხმის უმეტესობით მიეღებინებია პალატისათვის ახალი რეგლამენტი, რომელსაც შემდეგ „Lex Falkenhayn“-ი ეწოდა. რომელ კაბინეტშიაც უნდა მოჰყვეს წევრად კრამარჟი, უსათუოდ ისეთს ელფერს დასდებს, რომ თვალს მოსჭრის გერმანელთაო. შემდეგ გაზეთი ამბობს,—კრამარჟი დიდი წინააღმდეგია გერმანიასთან შეკავშირებისაო. თუ გერმანელებმა ვერ შესძლეს, გარეშე საქმეთა საერთო მინისტრი, გრაფი გოლუხოვსკი მაინც შეეცდება ავსტრიის კაბინეთში არ მისცეს ალაგი ისეთს კაცს რომელიც ავსტრიის სამთა-კავშირისადმი ერთგულობას სულ სხვა სახით დაანახვებს ქვეყანასაო. დასასრულ გაზეთი დასძენს,—არც ერთი გერმანელი პოლიტიკოსი არ დასთანხმდება იმ წინასწარ პირობას, რომელიც კაბინეტის გზას მისცემს კრამარჟსა: არც ერთი გერმანელი არ დაჰყაბულდება გერმანელთა მინისტრ-წარმომადგენლობას იმ კაბინეტში, საცა კრამარჟის გვერდით ერთს მაგიდაზედ მოუხდება ჯდომაო“.

ოსმალეთი. ინგლისის ლურჯ წიგნში, რომელიც ეხლახან გამოქვეყნდა, რამდენიმე საყურადღებო საბუთია მაკედონიის საქმეთა შესახებ.

ამა წლის 6 თებერვლის თარიღით ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ლანსდოუნი, აი, რასა სწერს ავსტრიის კარზე მყოფ ინგლისის ელჩს: „დღეს გადავეცი გრაფს, (ავსტრია-უნგრეთის ინგლისის კარზე მყოფს ელჩს),—ჩვენ ვიცით, რომ ავსტრია-უნგრეთსა და რუსეთს უფრო ახლოც ეხება, და უკეთეს მდგომარეობაშიაც იმყოფებიან, რათა ეს საქმები მოაწესრიგონ; მაგრამ მათი ბრწყინვალება, ალბად, მიხვდებოდა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამ საქმეებს, და მასთან ჩვენს გულითადს სურვილსაც,—დავეხმაროთ, რამდენადაც საკუთარი ანგარიშებინება გვაძლევს, მისს საკეთილოდ დამთავრებას“.

თითქმის იმავე დროსაა დაწერილი მეორე წერილი გრაფ ლანსდოუნის მიერ სტამბოლის კარზე მყოფ ინგლისის ელჩისადმი: „ამ ჟამად აუცილებელ საჭიროებად ის მიგვაჩნია, რომ საჩქაროდ მოხდეს პრაქტიკული რეფორმა მართვა-გამგეობისა. საუკეთესო ღონისძიებად აღიარებულ უნდა იქმნას არა თეორეტიული სისტემა, ანუ ცვლილება, რომელიც უფრო უმაღლეს მოხელეთა სარწმუნოებას შეეხება, არამედ გამოცდილ და დახელოვნებულ ევროპიელ მოღვაწეთა დანიშნვა, რომელთაც უკვე მოუხვეჭნიათ სახელი პატიოსან, კეთილშობილ მოღვაწისა საფინანსო და სასამართლო უწყებებში; გარდა ამისა, დიდის სიფრთხილით უნდა იქმნან არჩეულნი ის ევროპიელი ოფიცრები, რომელთაც მაკედონიის ჟანდარმერიაში უნდა იმსახურონ“.

— ძველ სერბიის ალბანელები თანაგრძნობით მიეგებნენ თურმე ახლად დანიშნულ კოსსოვის ვალის, გაფიზა მეჰმედა-ფაშას. ეს გარემოება მით უნდა აიხნას, რომ გაფიზა-ფაშა დაუძინებელი მტერია ავსტრია უნგრეთისა, რომელიც ასე სძულთ მუსულმან-ალბანელებს.

ბოსტანი და ბოსტნეულობა.

ადგილის გამორჩევა ბოსტნისათვის.

უმთავრესი საგანი ყველა მებოსტნისა ის არის, რომ დასამუშავებლად არჩეულ მიწიდგან, რაც შეიძლება ნაკლებ ხარჯით, მეტი ნაყოფი მიიღოს და მიწაც არ დაღალოს. ეს მაშინ შეიძლება, როდესაც წინადვე ისეთი ადგილია ამორჩეული, რომელიც აკმაყოფილებს ბოსტნეულობის ბუნების მოთხოვნილებას.

ადგილი უნდა იყოს ამორჩეული სწორი (ვაკე) აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ, ან სამხრეთ-დასავლეთისკენ მიქცეული; პირდაპირ სამხრეთისკენ მიქცეული ადგილი ჩვენში არ ივარგებს, რადგანაც ამისთანა ადგილი მეტად ჰხურდება მზის სხივებისაგან (ამისთანა ადგილი სასურველია მხოლოდ ძალიან ადრეულის ბოსტნეულობისთვის). ადგილი ფერდობი არ ვარგა, რადგანაც ბოსტნეულობას მორწყვა უყვარს და ამისთანა ადგილზედ წყალი ვერ დადგება და ტყუილად დაიკარგება. გარდა ამისა, წვიმა ადვილად ჩამორეცხს ასეთს ადგილს და მცენარეებსაც წაახდენს.

საბოსტნე ადგილი უნდა იყვს დაფარული ცივისა და ხშირის ქარისაგან, ან მაღალ ღობით, ან ხეებით და სხვა რამეთი. თუ ქარის წინააღმდეგ ხეებსა რგვენ, ისე უნდა დაირგოს, რომ მცენარეები არ დაჩრდილოს და ძირებმაც არ შეავიწროონ ბოსტნეულობის ძირები. ხეების დარგვა არა უახლოეს 5—7 საჟენისა ბოსტნიდგან სრულებით საკმარისია.

საბოსტნე ადგილი დახშული არ უნდა იყოს, არამედ სინათლიანი, რადგანაც მზის სხივები მცენარისათვის დიდად საჭიროა. სინათლის შემწეობით მცენარე ჰაერიდგან საჭირო საზრდოს იღებს ორგანულ ნაწილების შესადგენად. სანთლის შემწეობით ფოთლებსა და ღეროებში ხლოროფილი გროვდება, რომელიც ფოთლებს და ერთობ მცენარეს მწვანე ფერს აძლევს.

ზეადაგი ბოსტნისა უსათუოდ პოხიერი და ფხვიერი უნდა იყოს. ყველაზედ უფრო კარგია შავი და ქვიშა-ნარევი თიხა. ზეადაგის სისქე რვიდან თორმეტ გოჯამდე საკმარისია, რადგანაც მწვანილების ძირები ამაზედ ღრმად თითქმის არ ჩადის.

მიწის სიმსუქნე.

მსუქანს მიწას უწოდებენ ისეთს ზეადაგს, რომელშიაც იმყოფება მცენარეთათვის მიუცილებელი მასაზრდოებელი ნივთიერებანი, ხოლო ეს ნივთიერებანი ისე უნდა იყვნენ შეზავებულნი, რომ მცენარეს ადვილად შეეძლოს მათი გამოყენება.

მიწის გასასუქებლად ყოველგან ხმარობენ საქონლის ნეხვს (არის აგრეთვე ხელოვნური სასუქებიც). გარდა ამისა, ყოველ რიგიან ბოსტანში დიდად სასურველია იქონიონ აგრეთვე ერთნაირი სასუქი, რომელსაც უწოდებენ კომპოსტოს და რომლის გაკეთებაც შეუძლიან ყველას და ყველგან, რადგანაც მისთვის მასალა ყველგან მოიძებნება.

კომპოსტოს ასე აკეთებენ: ხის ნაცარს, გზის მტვერსა და ტალახს, თხრილებიდგან ამოღებულ მიწას, კირს, საქონლის გაფუჭებულ საკვებს, სხვა-და-სხვანაირ გარეულ და შინაურ მცენარეებს, კარტოფილის ფოთლებს და ღეროებს, ისლს, დამპალ ჩალას, სიმინდის ღეროებს, რომელსაც საქონელი ვერა სჭამს, ნახერხს, დამპალს ან ხმელ შტოებს, დაკლულ საქონლის შიგნეულობას და სისხლს, ძვლებს, მკვდარ საქონლის ხორცს (თუ საქონელი ჭირიანი არ იყო), ნეხვს, ნარეცხს წყალს, შარდს, ნეხვის წვენს და სხვა-და-სხვა ნაგავს, რომელიც-კი მოგროვდება სახლში და ეზოში,—ყველა ამას ერთად ურევენ და ალპობენ. ყველა ამ საგნებს ის ქიმიური ნაწილები აქვს, რომლებიც მცენარეებისათვის საჭიროა საზრდოდ.

ჩამოთვლილ მასალიდგან მებოსტნემ შეიძლება ზოგიერთი მაშინვე იხმაროს, როგორც იპოვის (ნარეცხი, შარდი და სხ.), ზოგი-კი თხოულობს უწინარეს მომზადებას, დალპობას, მაგ., ძვლები, ხორცი, ბალახები და სხვ. ზოგი გროვდება სახლში ყოველ დღე, მაგალითად, ნაგავი, ნაცარი, ზოგი-კი დროგამოშვებით, მაგ. ხორცი, ძვლები და სხვა.

კომპოსტოს გასაკეთებლად ადგილი წინადვე უნდა მომზადდეს სადმე—ბოსტანში, ან მახლობლად. ამისთვის უნდა ამოიღონ თხრილი, სიღრმით ერთი ან ერთ ალაბ ნახევარი; თხრილის სიგრძე-სიგანე დამოკიდებულია იმაზედ თუ, რამდენი მასალა არის კომპოსტოს გასაკეთებლად. ძირი და კედლები თხრილისა უნდა ძალიან დაიტკეპნოს: ამ თხრილში პირველად ჰყრიან, თუ არის, კომპოსტოს მიწას, ე. ი. გამიწებულს, დამპალ ნაფოტს, ფოთლებს, ან ბალახს, დამპალ ნეხვს, იმდენს რამდენიც შესაძლებელი იქნება და შემდეგ

ჩვენ უნდა გამოვზარდოთ სპეციალისტები, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე უცხოელებმა არ წაიღონ და ისევ ჩვენ დაგვრჩესო.

ყოველი კრება ერთგვარი სკოლა არის და ორატორი-მასწავლებელი. საჯაროდ სიტყვის წარმომთქმელს უნდა ახსოვდეს, რომ უკვდავია სიტყვები: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, სწორედ ამ შემთხვევისთვის დადებული კანონია. მხოლოდ რჩეულთ მოეთხოვებათ სიტყვა, „მსმენელთათვის დიდი ბარგი“; მაგრამ სხვათაც არა აქვთ უფლება, თავისის მოუფიქრებელის სიტყვით საზოგადო ინტერეს ავნონ, დაუშავონ რამე.

ჩვენმა ახალგაზდა მოღვაწეებმა ეს უკანასკნელი მოთხოვნილებაც ვერ შეასრულეს. საკითხს წაართვეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა და საპირადო ინტერესის ხარისხზედ ჩამოიყვანეს, აღძრეს დაბალი გულის-თქმანი. ყველა ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ კომისიის ერთს წევრს პირში ახალეს სიტყვები: „თქვენმა შვილებმა უნივერსიტეტი გაათავოს, ფრანგული და ბერძნული ისწავლოს და ჩვენები სკოლაშიაც ვერ შევიდნენ და წერა-კითხვა ვერ შეიძინონო“. თითქო კომისიას, როდესაც სტიპენდიების პროექტს ადგენდა, ფიქრად ჰქონდა ინტერესები ვინმე ვახუშტისა ან ვახტანგისა და არა საზოგადო.

გონებრივი თანასწორობა კაცთა შორის არას დროს არ ყოფილა და ღმერთმა ნურც ქნას. ისტორია გვასწავლის, რომ იყო დრო, დიდად დაშორებული ჩვენზედ, როდესაც კაცობრიობა იყო გასწორებული, როგორც დაწყნარებულ ზღვის ზედაპირი, მაგრამ არა ცოდნით, არამედ უმეცრებით და ბარბაროსობით. მხოლოდ შემდეგში ამოჰყვეს თავები პატარა გორაკებივით ცალკე კაცებმა და ნელნელა, თანდათან ამაღლდნენ დიდებულნი თავნი დიდთა მოღვაწეთა და მეცნიერთა. მათ შეჰქმნეს დღევანდელი კულტურა და ცივილიზაცია. მეცნიერება და მეცნიერნი შეადგენენ ერის დიდებას და ბედნიერებას. საკმაოა თვით უგანათლებულეს ერს წაერთვას მეცნიერება და მეცნიერნი, რომ მან იმავე დროს განათლებულ ერის ღირსებაც დაჰკარგოს. ასს ნასწავლ კაცში ხუთსაც არა აქვს წარმოდგენა იმისი, თუ რამდენად იყო გავრცელებული წერა-კითხვა კლასიკურ საბერძნეთში; დიდია თუ მცირედი, მაინც ყოველს ნასწავლ კაცს ძველი საბერძნეთი განათლებულ ქვეყნად მიაჩნია, იმიტომ, რომ ეგულება სამშობლოდ ჰომეროსებისა, ჰეროდოტებისა, პითაგორებისა, პლატონებისა, სოკრატებისა, არისტოტელებისა. სადაც მეცნიერება უფრო მაღალ ხარისხზე სდგას, იქ წერა-კითხვაც უფრო გავრცელებულია; მაგრამ ეს კიდევ არ არის იმის საბუთი, რომ წერა-კითხვას მოჰყვა მეცნიერება. პირიქით, თვითონ მწიგნობრობა მეცნიერმა მოიგონა და მეცნიერება იყო მისი გავრცელების მიზეზი. იმავე მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ წერა-კითხვა მიუცილებლად საჭიროა ყოველ კაცისათვის. ამიტომაც უნდა იყოს იგი საყოველთაოდ სავალდებულო და მიეცეს თითოეულ კაცს უსასყიდლოდ. კაცობრიობა უკვე შეუდგა ამ ჭეშმარიტების განხორციელებას და მოახლოებულია დრო, როდესაც, კაცთა ნათესავის საბედნიეროდ, აღარ იქნება არც ვაჟი და არც ქალი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდეს.

ჩვენ, ქართველებს, ამ საკითხის გასათვალისწინებლად შორს წასვლა არ გვჭირია, რადგან შინა გვაქვს საუკეთესო მაგალითი. 40—50 წლის წინად ჩვენს ქვეყანაში არც სკოლა იყო, არც გაზეთი, არც ჟურნალი, არც განათლებული კაცი. მთელს დღევანდელ ქუთაისის გუბერნიაში დასტამბულ ქართულ წიგნს ვერ იპოვიდა კაცი. საღმრთო წერილის წიგნები, ხელთნაწერი ვეფხვის ტყაოსანი, ვისრამიანი, ყარამნიანი, ბეჟანიანი და სხვა ამ გვარი წიგნები იყო იმ დროის კულტურულს ოჯახის ბიბლიოთეკა, წიგნთ-საცავი. სხვაგან, ხალხში, აქა იქ ქალებმა იცოდენ წერა-კითხვა. ჩამოწერდენ უკანასტარზედ ანბანს, ბავშვს მისცემდენ ხელში ჩხირს და წლობით გაჰკიოდა ა, ბ-ს. შემდეგ გადადიოდა „ამოსაღებზედ“. სახელმძღვანელო იყო პირველ შეხვედრილი მონაწერი წიგნი. ასოების გაცნობილს დააწყებინებდნენ ახლა ამოღებას, ამოღექას სიტყვებისას. ბოლოს, რამოდენისამე წლის შემდეგ, დიდის ჭაპანწყვეტით სწავლა დამთავრდებოდა მით, რომ სწავლა დამთავრებულს შეეძლო გაჭირებით ამოეკითხა ნაწერი და დაეწერა წიგნი, რომელიც უთუოდ უნდა დაწყებულიყო სიტყვებით: „პირველად თქვენს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ“. შევადაროთ მაშინდელი ახლანდელს. Свѣжо преданіе, а вѣрится съ трудомъ.

რა იყო ამის მიზეზი? წერა-კითხვამ შეჰქმნა მაღალი განათლება, თუ მაღალმა განათლებამ წერა კითხვა? ეს გუშინდელი საქმეა, ყველამ ვიცით, როგორ მოჰხდა. იმ დროს ჩვენს მამებს რომ ეთქვათ, მაღალი განათლება რა ჩვენი საქმეა, წერა-კითხვა რომ არ ვიცითო, ჯერ წერა-კითხვა უნდა გავრცელდეს და მაღალი განათლება მას მოჰყვება, როგორც შედეგიო, მაღალი განათლებაც დაგვეკარგებოდა და წერა-კითხვაც იქვე დარჩებოდა, სადაც იყო.

ქვეყანაზე არ არსებობს სასწავლებელი, საიდგანაც პირდაპირ მეცნიერები გამოდიოდნენ. სასწავლებელმა მოსწავლე დააყენოს სამეცნიერო გზაზედ, ასწავლოს, თუ როგორ ისწავლოს და გახდეს მეცნიერი,—აი, ეს არის ცოდნათა შორის საუკეთესო, რასაც-კი მასწავლებელი, მოსწავლეს გამოატანს. მეცნიერებას შეიძენს თითონ პირადის შრომით. ამისთვის მიუცილებელი საჭიროებაა თვითმოქმედება. უნივერსიტეტის შემდეგ ზოგი სამეცნიერო ასპარეზს აირჩევს და მთელ სიცოცხლეს მას შესწირავს. სხვანი ირჩევენ სხვა-და-სხვა სარბიელს მოღვაწეობისას, მაგრამ დიპლომის მიღებით არა თავდება სწავლა. მეცნიერების შეძენა მათთვის დასრულდება ერთად სიცოცხლესთან და კაცი ჭეშმარიტად ჰკუით გლახაკი უნდა იყოს, რომელიც თუთხმეტი წელიწადი სწავლა-განათლების გზაზედ იდგა და იქამდის ვერ მიაღწია, რომ მეცნიერების შეძენა მის სულიერ მოთხოვნილებად გამხდარიყო. ამისთანა კაცს, თუ რამ სამეცნიერო შეეპარა საწყალ თავში, იმგვარადვე გამოეპარება და ხელში დაგვრჩება დიპლომიანი უმეცარი.

„ექიმები და იურისტები ბევრი გვყავსო, საკმაო არისო, ახლა ჩვენ გვჭირია სპეციალისტები სამთამადნო, საინჟინერო, სატყევე და სხვა, რომ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენვე დაგვრჩეს და უცხოთა ხელში არ ჩავარდესო“. დიაღ, გავიჩენთ ამისთანა სპეციალისტებს თუ არა, ჭიათურის შავი-ქვა, იკრიბისა და ტყვარჩელას ქვა-ნახშირი, ჩვენი ხელუხლები ტყეები ჩვენ დაგვრჩება, თქმა არ უნდა. ესეც ცოტა იქნება; გაიგებენ თუ არა, იმერეთში სპეციალისტები გამოუზდიათო, თვითონ ბაქოდგანაც ბარგს აიკრავენ და გარდაიხვეწებიან როტშილდები, ნობელები და სხვანი!

ასე კარგად მცოდნენი ჩვენის ქვეყნისა და მისთა საჭიროებათა, აღჭურვილნი ასე მაღალის მეცნიერებით, დავამყარით ჩვენს სამშობლო კულტურას ისეთსავე წარმატებით, როგორითაც საბა ორბელიანის მამალმა და ძაღლმა სოფელი გააშენეს. ეს კიდევ არაფერი: თუ ვინმემ მოწყალეს თვალით არ მოგვხედა და დროდროთი ჩვენს სიბრძნეს დეზინფექცია არ მიაშველა, ნამდვილ ავგიოზ მეფის თვალებს გავიჩენთ და მსხნელად დაგვჭირდება ახალი ჰერკულესი, რომელსაც, რომ ღმერთმან იგი კიდევაც მოგვივლინოს, რიონის წყალი იქნება არც-კი ეყოს დასაწმენდ-გასარეცხად.

ლუარსაბ ლოლუა.

(შემდეგი იქნება)

ამაზედ დააყრიან ყოველნაირ მასალას, რაცკი მოიძებნება. როდესაც თხრილი აივსება, ზევიდან წააყრიან კიდევ კომპოსტოს მიწას, ან უბრალო მიწას, სისქით ხუთ, ექვს ვერშოკამდე იმისთვის, რომ თხრილში წყალი არ ჩავიდეს,—გარშემო პატარა თხრილს უვლებენ და განზედ წყლის წასასვლელი გაჰყავთ.

ამ გროვის მოვლა იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ზაფხულია, თხრილში დასალპობი მასალა მუდამ ნოტიოში იყვეს. ამისათვის, დრო გამოშვებით, ორ-სამ კვირაში ერთხელ წყალს ან ნეხვის წვენს, ან ნარეცხს ასხამენ თანასწორად და ბარით ან ჯოხით არევ-დარევენ ხოლმე. სითბო, ნოტიო და ჰაერი ამ მასალას დაალპობს. კომპოსტო მზად არის მაშინ, როდესაც ჩაყრილ სხვა-და-სხვა მასალას კაცი ერთმანეთში ველარ გამოარჩევს, ყოველისფერი დამპალია და გაშავებული.

კომპოსტოს გაკეთება სხვანაირადაც შეიძლება: უბრალო მიწაზედ ჰყრიან თანასწორად იმ ნაირ მასალას, რომელიც მალე ლპება, მაგ. ფურცელს, ბალახეულობას, ნაგავს და სხ. როდესაც შეგროვდება ეს მასალა 5—8 ვერშოკის სისქისა, ამაზედ უნდა დაიყაროს უბრალო მიწა, სისქით 4—6 ვერშოკი; ამაზედ ხელახლა სხვა-და-სხვა მასალა, ზეიდან კიდევ მიწა და ასე და ამგვარად, სანამ არ მოგროვდება არშინ ნახევარის სისქისა.

მოვლა ამ გროვას ისე უნდა, როგორც ზევითა ვთქვით. როდესაც ეს გროვა მიწად იქცევა, კარგად ურევენ ერთმანეთში; თუ მსხვილი რამ ურევია, აშორებენ ფოცხით ან, თუ არის, რკინის ან სინის საცერში სცრიან და ხმარობენ მიწის გასასუქებლად.

კომპოსტოთი მიწას ასუქებენ დათესვის დროს, ან დათესამდე, ან შემდეგ მცენარეების ამოსვლისა. ნახევარ ან ერთის გოჯის სისქე კომპოსტო, რომ მოაყაროთ მიწას, სრულებით საკმარისია მცენარეებისათვის.

ნ. მკურნალი.

ნარკვევი

სახაზინო სტამბები არ ემორჩილება საფაბრიკო ინსპექციის დადგენილებათა, ხოლო ასოთამწყობის მდგომარეობა ისეთი აუტანელი ხდება, როგორიცაა კერძო სტამბებში. ჟურნალ „Наборщикъ“-მა აღძრა საკითხი, რომ სახაზინო სტამბებიც საფაბრიკო ინსპექციას დაექვემდებაროსო.

„როგორც უმართებულესმა სენატმა—ამბობს „Наборщикъ“-ი—დაინახა, საგუბერნიო სახაზინო სტამბები ისეთი სამრეწველო-სახელოსნო დაწესებულებაა, როგორც კერძო სტამბები, მაშასადამე, ისინიც იმავე წესებსა და კანონებს უნდა დაემორჩილონ, რასაც კერძო სტამბები ემორჩილება, ე. ი. საფაბრიკო ინსპექციას. დღეს ათასგვარ შეურაცხყოფასა და დამცირებას იტანენ საგუბერნიო სახაზინო სტამბებში მომუშავენი თავიანთ უფროსებისაგან. მათ შეიძლება შეუცდომლად „თეთრ-კანიანი დამონებულნი“ ვუწოდოთ, ისე აუტანელია და ძნელია მათი შრომა.

როცა სახაზინო სტამბები საფაბრიკო ინსპექციის ქვეშ იქმნება, გამწვავებული ურთიერთობა ასოთ-ამწყობსა და უფროსს შორის შემცირდება, შესუსტდება“.

ყველა კერძო სტამბებში მუშათა ინტერესის დასაცველად შემოღებულია დაკანონებული საანგარიშო წიგნაკები, სადაც იწერება მუშის დაქირავების პირობები, ხელფასის რაოდენობა, მიღებული ფულის რაოდენობა. ყველგან დასანახ ადგილზე აკრულია დასტამბული საფაბრიკო ინსპექციის სავალდებულო დადგენილებანი დამქირავებლის და დაქირავებულის საყურადღებოდ; შემოღებულია ყველგან ზონარ გაყრილი საანგარიშო წიგნები. სახაზინო სტამბებისთვის-კი არც ერთი დადგენილება არა სუფევს: მათი კარები დაკეტილია საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთათვის და ვერას გზით ვერ შევლენ ამ „წმიდათა წმიდაში“.

—

„Рус. Вѣдомости“ აღნიშნავს იმ თვალსაჩინო მოვლენას, რომელმაც იჩინა თავი სკოლის საქმეში.

„მთავრობის ორგანოებთან ერთად—ამბობს გაზეთი—აქტიურ მონაწილეობას იღებენ ახალ გაზრდობის აღზრდის საქმეში სხვა-და-სხვა საზოგადოების წარმომადგენლები, რომელთა აზრები და შეხედულებანი მთავრობა იძულებულია შეიწყნაროს და ყურადღება მიაქციოს. გავიხსენოთ ერთი მაგალითი. საერო განათლების სამინისტრომ შეადგინა ერთგვარი სწავლების წესდება და დაუგზავნა სასწავლებელთა საბჭოებს გადასასინჯავად; შემდეგ ეს წესდება განიხილეს საერობო კრებაზე, ქალაქის საბჭოში. ყველგან დიდი აღიაქოთი და მითქმა მოთქმა გამოიწვია, ყველგან პროტესტი განაცხადეს წესდების ძალაში შესვლის შესახებ. ბოლოს სამინისტრომაც თავის მიერ შედგენილ წესდებას თავი დაანება... საშუალო სკოლის რეფორმაშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო საზოგადოებამ, საერობო და სათავად აზნაურო კრებამ, ქალაქის საბჭომ; მოსკოვის პედაგოგიურმა საზოგადოებამ და მრავალმა სხვა-და-სხვა კომისიებმა განძი შეიტანეს საშუალო სასწავლებლის რეფორმის საქმეში. ფრიად ღირს-შესანიშნავი მოვლენაა აგრეთვე ისიც, რომ დაიწყო განსაკუთრებული კრებანი, რომელსაც აზრად აქვს სწავლების მოწესრიგება დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. სასოფლო სამრეწველო კრებაზე, სამეურნე კომიტეტებში ყველგან შეეხნენ სასკოლო საქმეს“.

„ყველა ამ ფაქტებს—განაგრძობს „Русс. Вѣдом.“-ი—მეტის-მეტად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. შესანიშნავია ეს ფაქტები, არა იმისთვის, რომ მაჩვენებელია საზოგადოებრივის თვით-ცნობიერების ზრდისა და მომწიფებისა, არამედ თითონ, თავისთავად ძლიერ შეუწყობს ხელს სწავლა-განათლების საქმეს. კაი ხანია გამოაშკარავდა, რომ ისეთ რთულსა და საძნელო საქმეს, როგორიც საერო განათლებაა, მარტო ბიუროკრატიული სფერა ვერ აუვა, რომ ნორმალური განვითარება სწავლა-განათლებისა დამოკიდებულია საზოგადოებრივ ორგანოზედაც. დადგა დრო, როცა ეს აზრი (საზოგადოების მონაწილეობა) თანდათან გზას იკვალავს და თანდათან ფეხს იკიდებს ცხოვრებაში. საზოგადოებრივი მოქმედება უფრო-და-უფრო ფართოვდება, საზოგადოებას ნება ეძლევა, თავისს საქმეში, თავისი შვილების ბედ-იღბლის გადაწყვეტაში თითონ ჩაერიოს.

ბიუროკრატიულ ღონისძიებას თანდათან ბოლო ედება. ვუსურვოთ, რომ ამგვარ საერთო მუშაობას არაფერი ხელის შემშლელი მიზეზები არ გადაეღობოს წინ.

—

ჟურნალ „იურისტ“-ში ვკითხულობთ შემდეგს:

„დღევანდელმა ცხოვრებამ მრავალი იურიდიული საკითხები წამოაყენა, რომელთა გარდაწყვეტა კერძო ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. ეს საკითხები იმდენია, რომ ასე გგონია, რუსეთის მთელი ცხოვრება ვითომც მარტო უფლებრივ საკითხის გარშემო ტრიალებდეს.

სასოფლო სამეურნეო კომიტეტთა საბჭომ უტყუარ ჰყო ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის, ჩამოქვეითების და დაბეჩავების ერთ უმთავრეს მიზეზ ხად სოფლის იურიდიული მხარეა და პირველ ყოვლისა საჭიროა სოფლის უფლებრივი მდგომარეობა ძირიანად შეიცვალოს. საგლეხო საკითხი, სწავლა განათლების გარდა, წმინდა იურიდიული საკითხია გლეხის პირობების განთავისუფლება აპეკუნობისაგან, წოდებრივი კარჩაკეტილობის მოსპობა ჩვენ გლეხებს შორის, სოფლის თვით მართველობის ხეირიანად წასაყვანად, მოქალაქობრივი უფლების მინიჭება გლეხისთვის, სოფლის სასამართლოს მოწესრიგება,—ყველაფერი ეს წმინდა იურიდიული საკითხია. აი, რა უნდა გარდასწყვიტონ ჩვენმა იურისტებმა, რომლებიც ვალდებული არიან გულ მოდგინედ და ენერგიულად შეუდგნენ ამ საქმეს, თუ ჰსურთ ხელი შეუწყონ

საერთო საზოგადო საქმე შეერთებულის ძალით უნდა გადაწყდეს, ამისთვის-კი საჭიროა ერთად თავის მოყრა ყველა იმ პირთა, რომლებსაც კარგად ესმის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეები. საჭიროა მთელი სახელმწიფოს საზოგადოებრივი ყველა ძალები ერთად შეგროვდეს, რომ ღირსეულად დაგვირგვინდეს უფლებრივი ორგანიზაცია ჩვენის ქვეყნისა, რომელიც ხელს უწყობს ხალხის კულტურულად აყვავებას და წელში გამაგრებას

საჭიროა, იურისტებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ იმ საქმეში, მაგრამ არა „მოპატიჟებით“. მათი მოქმედება უნდა იყოს თავისუფალი, ძალა დაუტანებელი, სავალდებულო. მაშასადამე საჭიროა იურისტთა კონგრესის დანიშვნა. თავ-დაპირველად საქმე პეტერბურგის იურიდიულ საზოგადოებამ უნდა ითავოს“.

მხოლოდ მარტო ამით თუ შეიძლება იმ მწვავე საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც ცხოვრებამ თვალწინ წამოგვიყენა და მოითხოვს აუცილებელს დაკმაყოფილებას. საყოველთაო საქმის გადაწყვეტაში; მართლაც რომ საზოგადოებრივმა ყველა ძალებმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. კონგრესის მოხდენას ამ საქმის შესახებ პეტერბურგის იურიდიული საზოგადოება ითავებს, მოსკოვის, თუ კერძო პირები, სულ ერთია; „უწინ ის იტყვის და მერე ჩვენ, იმან ითავოს და მერე ჩვენც გავყვებით“, ასეთები საჭირო არაა. ითავოს იმან, ვისაც შესტკივა ხალხისთვის გული და ვისაც შესწევს ძალა და გაბედულობა, ითავოს იმან, ვისაც აწუხებს ხალხის წუხილი, ვისაც აშინებს ხალხის შიშილი, ვისაც აწყურებს ხალხის წყურვილი, ითავოს იმან.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ვთხოვ პატივცემულ „ივერიის“ რედაქციას გამოაცხადოს, რომ ამას წინად დაბეჭდილი ისტორიული წერილები, ხელმოწერილი პსევდონიმით „ბერი“, მე არ მეკუთვნის.

ნიკოლოზ ბერი (ნამორაძე).

—

ამით ვმოწმობთ, რომ ზემოხსენებული „ბერის“ ფსევდონიმი მამა ნიკოლოზს არ ეკუთვნის.

რედ.

„ივერიის“ ფოსტა:

კავკავს. ა. ყ—ლს.

„უსწავლელობა, სიბნელე,
ვიცით, რომ კაცის ბარგია,
უსწავლელი და რეგვენი
თავისს თემსაც არ არგია“.

ამის მეტი არა იბეჭდება რა თქვენის ლექსიდამ.

ზესტაფონი. ზესტაფონელს. თქვენი წერილი საკითხველოს შესახებ არ იბეჭდება. „არა არს რა დაფარულ, რაიცა არა გამოცხადდეს“...

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 თებერვალი.

ვარშავა. უკანასკნელი კრება ჰქონდა სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა გამომკვლევს კომიტეტს.

ნოვგოროდი. ეპისკოპოსის არსენის გვამი გადატანილ იქმნა საკრებულო ტაძარში. დაკრძალვას დაესწრნენ არხიეპისკოპოსი გური, გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის სამღვდელოება და დიდძალი ხალხი.

ვაშინგტონი. კონგრესმა შესწყვიტა კრება.

ტანჟერი. მინისტრმა მენებმა დაიწვა ქალაქი აინმედინა. ქალაქის მცხოვრებთაგან მხოლოდ 40 კაცი გადარჩა.

„Cor.“ სიტყვით, დაიწყო მოძრაობა უცხოელთა წინაღმდეგ. ორი ისპანელი დაჭრილ იქმნა. ისპანიის დესპანმა ამის შესახებ ვრცელი და სერიოზული მოხსენებანი შეადგინა.

21 თებერვალი.

ირკუტსკი. ჩამოვიდნენ ლეიტენანტი: მატისენი და კალჩაკი, რომელნიც იაკუტსკიდან მოდიან, ბარონ ტოლის საძებრად.

ფეცი. გაზ. „პერალ.“ იუწყება, რომ სულთანის მხედრობამ, აჯანყებულ ტომთა ბრძოლის შემდეგ, უკან დაიხია.

ვენა. ჩეხთა კლუბმა დაადგინა, მომავალ სამშაბათს, ბიუჯეტის პირველ წაკითხვის დროს, მიენდოს დეპუტატთ გეროლდის, კრამარს და ცაცეკს განაცხადონ იმ ოპოზიციონურ განწყობილების შესახებ, რომელიც მიიღო ჩეხთა კლუბმა მთავრობის მიმართ. კლუბმა გადასწყვიტა ყოველის ღონისძიებით ეცადოს და სამინისტრო დაამარცხოს.

პეტერბურგი. „მთავრობის უწყებაში“ დაბეჭდილია, რომ მიღებულია ღედანი ასსერის განაჩენისა, რომელიც იყო არჩეული სამედიატორო მოსამართლედ რუსეთის და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობათა მიერ იმ დავის გადასაწყვეტად, რომელიც გამოიწვია რუსთა კრეისერების მიერ ამერიკის ოთხი ხომალდის დატუსაღებამ 1891 და 1892 წლებში, ბერინგის სრუტეში,

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	46,02 1/2
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,27 1/2
პარიჟში ,,	37,72 1/2
ბირჟის დისკონტი	5—6 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	98 1/4 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95 მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	452 3/4 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	361 1/4 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	306 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82 3/4 წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 91 წვ. გაყ.
4 1/2% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	397 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	199 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

28 თებერვალს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია შემდეგი საქმეები

1) დავა კ. ბოკერიასი და ს. თათარაშვილისა.
2) დავა მ. ღლონტისა და ლ. ჯანდიერისა.

განცხადება

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება სეპარატორები და აბრეშუმის ჭიის თესლი ბაღდადისა და იტალიის ყვითელის ჯიშისა. (3—38—1).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
ქაჯანა
მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

24 თებერვალს ტფილისის საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზში, ნაძალადევის უფასო სასწავლებლის სასარგებლოდ, გაიმართება

სალიტერატურო-ვოკალური
საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. არციბაშევისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, ნევტონოვისა, სავიცკისა და ბ-ნნი ბარათაშვილი, ვეიმანი, პოლივკა, სემიგალოვი, შმიდტგოფი, და მანდოლინისტების გუნდი, ბ-ნ პულინოვის გამგეობით. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზედ.

ბილეთები იყიდება მუს. მაღაზიაში სუზანაჯიანისა და ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში. დაწვრილებითი ცნობანი აფიშებში.

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა,** თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.
2) **ახალციხის ომი,** ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით და ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.
3) **თავდადებულნი ქართველნი,** მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას მაურად მიეცემა.

ევროპიელი ქალი
ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის
ენის მცოდნე, იძლევა
გაკვეთილებს
მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და ღავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზედ. ვიმეორებ-რა ამ თხოვნასა, ვევედრები და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:
Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. обл. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
„ჯეჯილი“
წელიწადი მეთოთხმეტე
გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:
1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.